

ძალაშია 1996 წლის 24 აპრილიდან

## შეთანხმება

### საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და უკრაინის მთავრობა, შემდგომში „ხელშემკვრელი მხარეები“,

სურთ გააძლიერონ გრძელვადიან საფუძველზე ორივე ხელშემკვრელი მხარისათვის ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური თანამშრომლობა,

აპირებენ ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტიციებისათვის მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე შექმნან და ხელი შეუწყონ ხელსაყრელ პირობებს,

აღიარებენ, რომ ამ შეთანხმების თანახმად ინვესტიციების ხელშეწყობა და ურთიერთდაცვა სტიმულს მისცემს საქმიან ინიციატივას ამ სფეროში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### მუხლი 1 განმარტებები

ამ შეთანხმების მიზნებისათვის:

1. ტერმინი “ინვესტიცია” მოიცავს ნებისმიერი სახის აქტივებს, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით ინვესტირებულნი არიან ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტიციების მიერ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, ამ უკანასკნელის კანონმდებლობის შესაბამისად და კერძოდ, თუმცა არა სრულად, მოიცავს:

ა) მოძრავ და უძრავ ქონებას, როგორც ნებისმიერ სხვა უფლებას, ისეთს, როგორც არის ბედნადები, სესხის უზრუნველყოფისა და სხვა მსგავსი უფლებები;

ბ) აქტივებს, ფასიან ქაღალდებს და იურიდიული პირების სავალო ვალდებულებებს ან ამ იურიდიული პირების ქონებრივ ნაწილს;

გ) ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებულ სესხებს, კრედიტებს, მიზნობრივ საბანკო და საფინანსო ანაბრებს და სხვაგვარ ფულად მოთხოვნილებებს;

დ) ინვესტიციასთან დაკავშირებულ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, მათ შორის საავტორო უფლებებს, სასაქონლო ნიშნებს, პატენტებს, სამრეწველო ნიმუშებს, ტექნოლოგიურ პროცესებს, ნოუ-ხაუს, კომერციულ საიდუმლოებებს, საფირმო სახელწოდებებსა და გუდვილს;

ე) კანონმდებლობის შესაბამისად, ლიცენზიებსა და ნებართვებს, მათ შორის კონცესიებს ბუნებრივი რესურსების კვლევა-ძიებაზე, მოპოვებაზე, დამუშავებაზე და ექსპლოატაციაზე;

აქტივების ინვესტირების ნებისმიერი ფორმის შეცვლა არ იქონიებს გავლენას მის, როგორც ინვესტიციების თვისებებზე.

2. გერმინი “ინვესტორი” ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც ინვესტიციას აწარმოებს მეორე ხელშემკვრელი მხარის გერიგორიაზე:

ა) გერმინი “ფიზიკური პირი” ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელსაც გააჩნია ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეობა ამ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) გერმინი “იურიდიული პირი” ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარესთან მიმართებაში ნიშნავს ნებისმიერ დაწესებულებას, საწარმოს ან ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და რომელსაც აქვს უფლება აწარმოოს ინვესტირება მეორე ხელშემკვრელი მხარის გერიგორიაზე.

3. გერმინი “შემოსავლები” ნიშნავს ინვესტიციების შედეგად მიღებულ ფულად თანხებს და კერძოდ, თუმცა არა სრულად, მოიცავენ შემოსავლებს, პროცენტებს, კაპიტალის ნამატს, აქციებს, დივიდენდებს, როიალტებს და გადასახადებს მომსახურებაზე.

4. გერმინი “გერიგორია” თითოეული ხელშემკვრელი მხარის მიმართ ნიშნავს გერიგორიას, რომელიც იმყოფება მის სუვერენიტეტის ქვეშ, აგრეთვე საზღვაო და წყალქვეშა რაიონებს, რომელზედაც ეს ხელშემკვრელი მხარე საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ახორციელებს სუვერენიტეტს, უფლებებსა და იურისდიქციას.

## **მუხლი 2**

### **ამ შეთანხმების გამოყენება**

ამ შეთანხმების პირობები გამოიყენება ყველა ინვესტიციების მიმართ, რომელიც განხორციელებულია ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორის მიერ მეორე ხელშემკვრელი მხარის გერიგორიაზე, როგორც ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე, ასევე მისი ძალაში შესვლის შემდეგ.

## **მუხლი 3**

### **ინვესტიციების წახალისება და დაცვა**

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე წახალისებს და შეუქმნის ხელსაყრელ პირობებს ინვესტიციების განხორციელებისათვის თავის გერიგორიაზე მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორებს და დაუშვებს ასეთ ინვესტიციებს თავის კანონებისა და წესების შესაბამისად.

2. ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების ინვესტიციები სარგებლობენ მეორე ხელშემკვრელი მხარის გერიგორიაზე სამართლიანი და თანაბარი მოპყრობით, სრული დაცვითა და უშიშროებით.

## **მუხლი 4**

### **ეროვნული რეჟიმი და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი**

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე თავის გერიგორიაზე ანიჭებს მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების ინვესტიციებს ისეთ რეჟიმს, რომელიც არის სამართლიანი, თანაბარი და არა ნაკლებ ხელსაყრელი, ვიდრე ის, რომელსაც იგი

ანიჭებს თავისი ინვესტორების ინვესტიციებს ან ნებისმიერ მესამე სახელმწიფოს ინვესტორების ინვესტიციებს.

2. თითოეული ხელშემკვრელი მხარე თავის ტერიტორიაზე ანიჭებს მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორებს მართვასთან, ხელშეწყობასთან, გამოყენებასთან, შემოსავლების მიღებასთან და თავისი ინვესტიციების განკარგვისათვის რეჟიმს, რომელიც არის სამართლიანი, თანაბარი და არა ნაკლებ ხელსაყრელი, ვიდრე ის, რომელსაც იგი ანიჭებს თავის საკუთარ ინვესტორებს ან ნებისმიერ მესამე სახელმწიფოს ინვესტორებს.

3. ამ მუხლის 1 და 2 პუნქტების დებულებები არ განიმარტება ისე, რომ დაავალდებულონ ერთი ხელშემკვრელი მხარე გაავრცელოს მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორებზე ნებისმიერი რეჟიმიდან, პრეფერენციიდან ან პრივილეგიიდან ისეთი სარგებლობა, რომელიც შეიძლება გავრცელდეს უკანასკნელი ხელშემკვრელი მხარის მიერ გამომდინარე:

ა) ნებისმიერ საბაჟო კავშირიდან, ან თავისუფალი სავაჭრო ზონიდან, ან მსგავსი საერთაშორისო შეთანხმებებიდან, რომლებსაც აქვთ გავლენა თანამშრომლობის საინვესტიციო რეჟიმზე, ან რეგიონალური თანამშრომლობის სხვა ფორმებზე, რომლის მონაწილე არის ან შეიძლება გახდეს ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარე;

ბ) ნებისმიერი საერთაშორისო შეთანხმებიდან ან მოლაპარაკებიდან, რომლებიც მთლიანად ან ძირითადად ეხება დაბეგვრას.

## **მუხლი 5** **კომპენსაცია დანაკარგებზე**

1. თუ ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების ინვესტიციები ზარალს განიცდიან ომის, შეიარაღებული კონფლიქტის, ეროვნულ საგანგებო მდგომარეობის, გადატრიალების, აჯანყების, შეთქმულების, ან სხვა მსგავსი ვითარებების გამო მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მათ ამ უკანასკნელ ხელშემკვრელი მხარის მიერ მიენიჭება რესტიტუციებთან, ანაზღაურებასთან, კომპენსაციასთან და სხვა გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით რეჟიმი, არა ნაკლებ ხელსაყრელი, ვიდრე ის, რომელსაც ეს უკანასკნელი ხელშემკვრელი მხარე ანიჭებს ნებისმიერ მესამე სახელმწიფოს ინვესტორებს.

2. ამ მუხლის 1 პუნქტის პირობების დაუბრკოლებლად, ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორებს, რომლებიც ამ პუნქტში ხსენებულ ნებისმიერ შემთხვევაში განიცდიან ზარალს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, რომლებიც წარმოქმნიან:

ა) მისი ძალების ან ხელისუფლებების მიერ მათი საკუთრების რეკვიზიციის შედეგად;

ბ) მათი საკუთრების მისი ძალების ან ხელისუფლებების მიერ ნგრევით რომელიც არ იყო გამოწვეული საომარი მოქმედებებით ან სიგუაციის აუცილებლობის შედეგად მიენიჭებათ სამართლიანი და აღექვატური კომპენსაცია იმ დანაკარგებზე, რომელიც განიცადეს ინვესტორებმა რეკვიზიციის დროს ან საკუთრების ნგრევის შედეგად.

წარმოქმნილი გადახდები დაუყოვნებლივ გადაიყვანება თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში.

## **მუხლი 6**

## ექსპროპრიაცია

1. ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების ინვესტიციები არ იქნებიან ნაციონალიზირებული, ექსპროპრიირებული ან მათ მიმართ არ გამოიყენება ზომები, რომლებსაც აქვთ ნაციონალიზაციისა და ექსპროპრიაციის (შემდგომში “ექსპროპრიაცია” წოდებული) ექვივალენტური ეფექტი, მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, თუ ამას არ მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესები. ექსპროპრიაცია გაგარდება არადისკრიმინაციულ საფუძველზე სათანადო სამართალწარმოების შესაბამისად და განხორციელდება დაუყოვნებლივ ადექვატურ და ეფექტურ კომპენსაციის გადახდის შესახებ პირობების თანხლებით. ასეთი კომპენსაცია იქნება გოლფასი ინვესტიციების საბაზრო ღირებულებისა, იმ დროისათვის, როდესაც ექსპროპრია ან ექსპროპრიაციის საშიშროება გახდა საყოველთაოდ ცნობილი, მოიცავს პროცენტს ექსპროპრიაციის თარიღიდან LIBOR-ის განაკვეთით, გადახდილი იქნება იმ ვალუტაში, რომელშიც განხორციელდა ინვესტიცია ან მხარეთა შეთანხმების მიხედვით ინვესტორისათვის მისაღებ ნებისმიერ სხვა ვალუტაში, იქნება ისეთი, რომელიც ეფექტურად განხორციელდება და თავისუფლად გადაიგზავნება.

2. დაზარალებულ ინვესტორს ექნება ამ ხელშემკვრელი მხარის სასამართლო ან სხვა დამოუკიდებელი ხელსუფლების მიერ თავისი შემთხვევის და ამ მუხლში გადმოცემული პრინციპების შესაბამისად ინვესტიციების შეფასების დაუბრკოლებრივი გადახედვის უფლება.

3. ამ მუხლის 1 პუნქტის დებულებები აგრეთვე გამოიყენებიან მაშინაც, როდესაც ხელმოწერი მხარე ექსპროპრიაციას გაუკეთებს იმ კომპანიის აქტივებს, რომელსაც მიღებული აქვს სააქციონერო საზოგადოების სტატუსი, ან შექმნილია მისი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მისი ტერიტორიის ნებისმიერ ნაწილში და რომელშიც მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორებს აქვთ წილი.

## მუხლი 7 გადაგზავნები

1. ხელშემკვრელი მხარეები უზრუნველყოფენ გადასახადების გადაგზავნას თავიანთი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადაგზავნები განხორციელდება ნებისმიერი შემლუღებების და დაგვიანებების გარეშე. ასეთი გადაგზავნები კერძოდ, თუმცა არა სრულად, მოიცავენ:

ა) კაპიტალს ან დამატებით ფულად ჯარიმებს ინვესტიციების მხარდაჭერისა ან გაზრდის მიზნით;

ბ) შემოსავლებს, პროცენტებს, დივიდენდებს და სხვა მიმდინარე შემოსავალს;

გ) გადასახადებს, რომლებიც ხორციელდება საკრედიტო შეთანხმებების შესაბამისად;

დ) როიალტებს ან მომსახურებაზე გადასახადს;

ე) ინვესტიციების ლიკვიდაციისა ან გაყიდვის შემოსავლებს;

ვ) ფიზიკური პირების გასამრჯელოს, რომელიც მიღებულია ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განხორციელებული ინვესტიციებიდან ამ ხელშემკვრელი მხარის კანონებისა და წესების მიხედვით.

2. ამ შეთანხმების მიზნებისათვის გადაცვლისათვის გამოიყენება ოფიციალური კურსები, რომლებიც მოქმედებენ მიმდინარე შეთანხმებებისათვის გადარიცხვის

მომენტში, თუ არ არსებობს სხვა მოლაპარაკება.

## **მუხლი 8** **სუბროგაცია**

1. თუ ხელშემკვერელი მხარე ან მისი შუამავალი ახორციელებს გადასახადებს თავისი საკუთარი ინვესტორებისათვის იმ გარანტიის შესაბამისად, რომელიც მან წარუდგინა მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე ინვესტიციასთან დაკავშირებით, უკანასკნელი ხელშემკვერელი მხარე ცნობს:

ა) ნებისმიერი არსებული უფლების ან პირველი ხელშემკვერელი მხარის მიმართ ან მასთან დანიშნული შუამავლის მიმართ ინვესტორის მოთხოვნის უფლების გადაცემას ამ ქვეყანაში კანონის ან კანონიერი შეთანხმების თანახმად, ისე როგორც,

ბ) რომ პირველმა ხელშემკვერელმა მხარემ ან მისმა დანიშნულმა შუამავალმა მიიღო უფლება სუბროგაციის შედეგად ისარგებლოს ამ ინვესტორის უფლებებით და წამოაყენოს მისი მოთხოვნები და ამ ინვესტიციებთან დაკავშირებით აიღებს თავის თავზე უფლებებს.

2. სუბროგაციის შედეგად მიღებული უფლებები და მოთხოვნები არ გასცდება ინვესტორის უფლებების და მოთხოვნების ფარგლებს.

## **მუხლი 9** **ერთ ხელშემკვერელი მხარესა და მეორე ხელშემკვერელი მხარის** **ინვესტორს შორის დაფები**

1. ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ერთ ხელშემკვერელი მხარის ინვესტორსა და მეორე ხელშემკვერელი მხარეს შორის მის ტერიტორიაზე ინვესტიციასთან დაკავშირებით, მოლარპარაკების საგანი იქნება ხელშემკვერელ მხარეთა შორის დავაში. 2. თუ რაიმე დავა ერთი ხელშემკვერელი მხარის ინვესტორსა და მეორე ხელშემკვერელ მხარეს შორის ამგვარად არ გადაწყდება წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან ექვსი თვის განმავლობაში, ინვესტორს აქვს უფლება გადასცეს ეს დავა:

ა) განსახილველად იმ ხელშემკვერელი მხარის სასამართლო ორგანოს, რომლის ტერიტორიაზე ხორციელდება ინვესტიცია, ან

ბ) საინვესტიციო დაფების გადამწყვეტ საერთაშორისო ცენტრში, რაც გულისხმობს სახელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დაფების გადაწყვეტის შესახებ კონვენციის შესაბამის პირობებს, რომელიც ხელმოსაწერად ღიაა ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქი, 1965 წლის 18 მარტს, იმ შემთხვევაში, როცა ორივე ხელშემკვერელი მხარე გახდნენ ამ კონვენციის მონაწილენი, ან

გ) არბიტრს ან საერთაშორისო AD HOC საარბიტრაჟო სასამართლოში, რომელიც დაარსებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ვაჭრობის საარბიტრაჟო წესების კომისიის თანახმად. დავაში მხარეებს წერილობით შეუძლიათ შეცვალონ ეს წესები. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დავის ორივე მხარისათვის იქნება საბოლოო და სავალდებულო.

## მუხლი 10 ხელშემკვრელი მხარეთა შორის დავების გადაწყვეტა

1. ხელშემკვრელი მხარეებს შორის დავები ამ შეთანხმების განმარტებისა და გამოყენების თაობაზე უნდა გადაწყდეს, თუ ეს შესაძლებელია, ერთობლივი კონსულტაციებითა და მოლაპარაკებებით.

2. თუ ეს დავა მისი დაწყების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში არ გადაწყდება ამ საშუალებით, მაშინ ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის თხოვნის საფუძველზე ის გადაეცემა საარბიტრაჟო სასამართლოს ამ მუხლის დებულებების შესაბამისად.

3. საარბიტრაჟო სასამართლო შეიქმნება ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის შემდეგნაირად: თითოეული ხელშემკვრელი მხარე საარბიტრაჟოს გადაწყვეტილების თაობაზე მიღებული წერილობითი მიმართვის შემდეგ ორი თვის განმავლობაში დანიშნავს ამ სასამართლოს თითო წევრს. ეს ორი წევრი შემდგომ ამოირჩევენ მესამე სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც ხელშემკვრელ მხარეთა მიერ მოწონების შემდეგ დაინიშნება სასამართლოს თავმჯდომარედ (შემდგომში მოიხსენიება როგორც "თავმჯდომარე"). თავმჯდომარე დაინიშნება მეორე წევრის დანიშვნის დღიდან სამი თვის განმავლობაში.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ რომელიმე პერიოდის განმავლობაში არ იქნა განხორციელებული აუცილებელი დანიშვნები, ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, სხვა შეთანხმებების არაარსებობის შემთხვევაში, შეუძლია აუცილებელი დანიშვნების ჩაგარების მიზნით მოიწვიოს გაეროს საერთაშორისო სასამართლოს თავმჯდომარე. იმ შემთხვევაში, თუ გაირკვევა, რომ ის არის რომელიმე ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე ან არის სხვა მიზეზი, რაც ხელს უშლის მას შეასრულოს მითითებული ფუნქციები, აუცილებელი დანიშვნების ჩასაგარებლად მოწვეული იქნება თავმჯდომარის მოადგილე. იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარის მოადგილეს არის რომელიმე ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე ან არ შეუძლია შეასრულოს მითითებული ფუნქცია, აუცილებელი დანიშვნების ჩასაგარებლად მოწვეული იქნება საერთაშორისო სასამართლოს მომდევნო თანამდებობაზე მყოფი წევრი, რომელიც არ არის რომელიმე ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე და შეუძლია დაბრკოლებების გარეშე შეასრულოს მითითებული ფუნქცია.

5. საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს სმათა უმრავლესობით. ასეთი გადაწყვეტილებები აუცილებელი იქნება ორივე ხელშემკვრელი მხარისათვის. თითოეული ხელშემკვრელი მხარე უზრუნველყოფს სასამართლოს თავიანთი წევრების და თავისი წარმომადგენლის ხარჯების ანაზღაურებას; თავმჯდომარისა და სხვა დარჩენილ ხარჯებს ხელშემკვრელი მხარეები გაინაწილებენ თანაბრად.

ამავე დროს, საარბიტრაჟო სასამართლოს თავისი გადაწყვეტილებით შეუძლია დაადგინოს ხელშემკვრელ მხარეთაგან რომელს მიაკუთვნოს ხარჯების გადახდის უფრო დიდი წილი და ეს გადაწყვეტილება სავალდებულოა ორივე ხელშემკვრელი მხარისათვის.

## მუხლი 11

**სხვა წესებისა და სპეციალური ვალდებულებების გამოყენება**

1. თუ საკითხი ერთდროულად რეგულირდება ამ შეთანხმებით და სხვა საერთაშორისო შეთანხმებით, რომლის მონაწილეც არის ორივე ხელშემკვერელი მხარე, ამ შეთანხმებაში არაფერი არ შეუშლის ხელს ორივე ხელშემკვერელ მხარეს ან მათ ნებისმიერ ინვესტორებს, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციებს მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე, ისარგებლონ იმ წესების უპირატესობით, რომლებიც უფრო ხელსაყრელია მათ საქმიანობასთან დაკავშირებით.

2. თუ რეჟიმი, რომელიც უნდა მიანიჭოს ერთმა ხელშემკვერელი მხარემ მეორე ხელშემკვერელი მხარის ინვესტორებს მისი კანონებისა და წესების ან სხვა კონტრაქტების სპეციალური დებულებების შესაბამისად არის უფრო ხელსაყრელი, ვიდრე ის, რომელიც ენიჭება ამ შეთანხმებით, მიენიჭება უფრო ხელსაყრელი.

## მუხლი 12

### ცვლილებებისა და დამატებების შეგანა

ამ შეთანხმებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეგანილი იქნას ხელშემკვერელ მხარეთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ნებისმიერი ცვლილება ძალაში შევა თუ თითოეული ხელშემკვერელი მხარე აცნობებს მეორე ხელშემკვერელ მხარეს, რომ მან მოაწესრიგა ყველა შესაბამისი ფორმალობა, რომელიც ხელს უშლიდა ასეთი ცვლილებების ძალაში შესვლას.

## მუხლი 13

### შეთანხმების მოქმედების ძალაში შესვლა, მოქმედების ვადა და შეწყვეტა

1. თითოეული ხელშემკვერელი მხარე მეორე ხელშემკვერელ მხარეს წერილობით აცნობებს ამ შეთანხმების მოქმედებაში შესვლისათვის თავისი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად აუცილებელი პროცედურების დასრულების შესახებ. ეს შეთანხმება ძალაში შევა საბოლოო წერილობითი შეგყობინების მიღებიდან.

2. ეს შეთანხმება ძალაში რჩება ათი წლის განმავლობაში. მისი მოქმედება ყოველთვის ავტომატურად გაგრძელდება შემდეგი ხუთი წლით, თუ არცერთი ხელშემკვერელი მხარე შესაბამისი პერიოდის დამთავრებამდე ექვსი თვით ადრე წერილობით არ აცნობებს მეორე ხელშემკვერელ მხარეს თავისი განზრახვის შესახებ შეწყვიტოს ამ შეთანხმების მოქმედება.

3. ინვესტიციებთან დაკავშირებით, რომლებიც განხორციელებულ იქნა ამ შეთანხმების მოქმედების შეწყვეტამდე, ამ შეთანხმების დებულებები (მუხლი 1\_11) შეწყვეტის დღიდან მოქმედებაში დარჩებიან ათი წლის პერიოდით.

შესრულებულია ქ. თბილისში 1995 წლის 9 იანვარს ორ ნამდვილ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ, უკრაინულ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა გექსტი თანაბრად აუტენგურია. ამ შეთანხმების დებულებების განმარტების მიზნით უპირატესობა ენიჭება გექსტს რუსულ ენაზე.

მთავრობის სახელით

სახელით